

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ქალბატონ თეა წულუკიანს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე

ასარჩევი კანდიდატის დარეგისტრირების შესახებ

ქალბატონო თეა, მოგმართავთ წარდგინებით თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, უმაღლესი სასწავლებელი „განათლების აკადემიის“ აკადემიური პერსონალის სახელით და მთავარი პროკურორის პოსტზე ასარჩევად წარმოგიდგენთ ირაკლი ნადარეიშვილის კანდიდატურას.

ირაკლი ნადარეიშვილის პიროვნება კარგად არის ცნობილი, როგორც თქვენთვის, ისე საზოგადოების ფართო მასებისთვის. ის ხელმძღვანელობს პროკურატურის ე.წ სპეც-დეპარტამენტს, რომლის საქმიანობის შედეგად გახდა შესაძლებელი 200-ზე მეტი მოქალაქისათვის უკანონო ქონების დაბრუნება და უკანონოდ მსჯავრდებულ პირთა გამამართლებელი განაჩენების დადგენა ამავე დროს, მისი სახელი უკავშირდება მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების გახსნასა და მათ მსჯავრდებას.

ირაკლი ნადარეიშვილი საზოგადოებაში და სამართლებრივ სივრცეში მოღვაწე პირთა შორის სარგებლობს კარგი ავტორიტეტით და აქვს სამართლიანი ადამიანის სახელი. იგი ავტორიტეტია სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვისაც და აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

ქალბატონო თეა, რა თქმა უნდა, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ ორიოდ სიტყვით მაინც შეგახსენებთ: ირაკლი ნადარეიშვილი არის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, იმავდროულად კითხულობს ლექციებს ევროპის უნივერსიტეტსა და განათლების აკადემიაში (სისხლის სამართლის პროცესში). მან 1997 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (წარჩინებით). ირაკლი ნადარეიშვილი 2015 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს საქართველოს მთავარი პროკურატურის, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს, რომელიც საზოგადოებაში სამართლიანობის აღდგენის დეპარტამენტის სახელითაა ცნობილი. 2013 წლიდან 2015 წლამდე მუშაობდა საქართველოს მთავარი პროკურატურის

საქართველოს იუსტიციის მინისტრის აპარატი
საქართველოს იუსტიციის მინისტრის აპარატი
2 " 07 2018წ.
№ 01/12793

საგამომიებო ნაწილში უფროს პროკურორად. 2007-2013 წლებში იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი (ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით). 2005-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალური პროკურატურის, მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსად, საიდანაც საკუთარი განცხადების საფუძველზე იქნა დათხოვნილი. 2000-2005 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში, სადაც კარიერა დაიწყო რაიონის რიგითი გამომძიებლის რანგში და შს სამინისტროს რიგები დატოვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის სტატუსით. მანამდე მუშაობდა სასამართლოში, სასამართლო აღმასრულებლისა და კერძო კომპანიაში, კომპანიის იურისტის პოზიციებზე. იგი არის კარგი პროფესიონალი, აქვს საკმარისი გამოცდილება როგორც გამოძიების, ისე საპროკურორო ზედამხედველობის კუთხით და არის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი საქართველოს პროკურატურის სისტემაში. ასევე, ცალკე აღსანიშნავია მისი რეპუტაცია და სუფთა წარსული.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი გთავაზობთ ირაკლი ნადარეიშვილის კანდიდატურას საქართველოს მთავარი პროკურორის პოსტზე შესარჩევად და იმედი გვაქვს გარზიარებით როგორც ჩვენს, ისე საზოგადოების მოთხოვნას.

თბილისი ღია უნივერსიტეტის რექტორი,

სამართლის დოქტორი, პროფესორი ნოდარ პანჭღავაძე
568108801



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

კანცლერი, პროფესორი ვახტანგ წივჭივაძე

უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემიის

დამფუძნებელი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,

სამართლის დოქტორი მარიამ მესხიშვილი-უფაძე

Handwritten signature and initials in blue ink.

Handwritten signature in blue ink.

Handwritten signature in blue ink.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

რეგისტრირებული კავშირის-ოჩამჩირისა და ვალის რაიონებიდან
იძულებით გადადგილელი ომისა და შრომის ინვალიდთა
კავშიერი „ლესელიძეს“ თავმჯდომარე დავით გერგედავას
მის. ქ. თბილისი, თემქა, შუ-10 კვარტალი, 26-ე კორპუსი, ბინა #10,
ტელ 557 77 97 70

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო თეა,

განცხადებით მოგმართავთ რეგისტრირებული კავშირის-ოჩამჩირისა და ვალის რაიონებიდან იძულებით გადადგილელი ომისა და შრომის ინვალიდთა კავშიერი „ლესელიძე“-ის 24 000 (ოცდაოთხი ათასი) ოჯახი და ჯამურად 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) კაცი, რომლებიც განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავენ საქართველოს მთავარ პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობისადმი.

დასახელებული დეპარტამენტის დიდ ავტორიტეტს განსაზღვრავს მისი ხელმძღვანელი ბატონი ირაკლი ნადარეიშვილი, რომელიც არის ღირსეული, პატიოსანი და დიდი პროფესიონალი. ეს ის პიროვნებაა რომელიც უსაზღვროდაა შეყვარებული თავის პროფესიაზე.

ქალბატონო თეა,

შეიძლება გაგიკვირდეთ, თუ რატომ და საიდან ვიცი ბატონი ირაკლი ნადარეიშვილის ღირსებების შესახებ. აღნიშნულზე ძალიან მოკლედ შეგვიძლია მოგახსენოთ, ყოველივე ეს მან გამოავლინა და დაგვიდასტურა ჩვენი ორგანიზაციის საქმის წარმოების დროს. თვითველი ჩვენს განცხადებას იხილავდა გულისხმიერად და იღებდა ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებას. დარწმუნებული ვართ ავისუთივე ყურადღებას უთმობდა სხვა მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებს.

ქალბატონო თეა,

შეიძლება გადაგლალეთ ასეთი შესავალის გამო, მაგრამ ჩვენი კავშირის თვითოველი წევრი დიდი სიხარულით შეხვდა იმ გარემოებას, რომ ბატონი ირაკლი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
საქმის განყოფილება
05 07 18
№ 21/3331

ნადარეიშვილის კანდიდატურა დასახელდა საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე.

აქედან გამომდინარე, დარწმუნებულნი ვართ რომ სწორედ ბატონი ირაკლია ის ერთადერთი ღირსეული პიროვნება, რომელიც იმსახურებს საქართველოს მთავარ პროკურის თანამდებობას.

ამდენად, მოგმართავთ რა ჩვენი ორგანიზაციის - რეგისტრირებული კავშირი-ოჩამჩირისა და გალის რაიონებიდან იძულებით გადადგილელი ომისა და შრომის ინვალიდთა კავშიერი „ლესელიძე“-ის 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ადამიანის სახელით ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით გერგედავა გთხოვთ, ირაკლი ნადარეიშვილის კანდიდატურა წარადგინოთ საპროკურორო საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად.

ქალბატონო თეა

იმედი გვაქვს, რომ გავებით მოეკიდებით ჩვენს თხოვნას და მიიღებთ ირაკლი ნადარეიშვილის კანდიდატურის სასარგებლო გადაწყვეტილებას, რითაც დაამტკიცებთ, რომ ყურს უგდებთ ხალხის ნებას.

პატივისცემით,

რეგისტრირებული კავშირი-ოჩამჩირისა

და გალის რაიონებიდან იძულებით

გადადგილელი ომისა და შრომის ინვალიდთა

კავშიერი „ლესელიძე“-ის

150 000 (ასორმოცდაათი ათასი) კაცის სახელით:



დავით გერგედავა

5 ივლისი 2018 წ.